

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „VTM“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 25 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404988527, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შ.ნუცუბიძის ფერდ, III მ/რ, III კვ., კორ. 7, ბ. 10. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, ვანო ამირანაშვილი (პ.ნ.57001005960) - 100%, დირექტორი ვანო ამირანაშვილი (პ.ნ.57001005960).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საყოფასხოვრებო ტექნიკით საცალო და საბითუმო ვაჭრობა.

1.4. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობის მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-

ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს

ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოდგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებების ან საინვესტიციო ქონების ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა

ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	132424	260307
ლარი საბანკო ანგარიშებზე	75670	77345
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	0	
ევროები საბანკო ანგარიშებზე	0	0
ლარი სხვა საბანკო ანგარიშებზე	0	0
სულ:	208094	337652

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	834835	724099
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ		
სულ:	834835	724099

3.3. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	29371	94767
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები		
სულ:	29371	94767

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	3796094	3375022
სულ:	3796094	3375022

3.5. წინსწრებით გადახდილი გადასახადები და სხვა აქტივები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი		
სხვა მიმდინარე აქტივები	65534	36621
სულ:	65534	36621

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	1	1
შენობა ნაგებობები	375956	349418
კავშირგაბმულობდა, ოფისის აღჭურვილობა და კომპ. ტექნიკა	7110	4087
სარეკლამო საშუალებები	14000	27792
ავეჯი და ინვენტარი	191	10639
სატრანსპორტო საშუალებები	258214	364014
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	29923	
სხვა ძირითადი საშუალებები	634	25681
სულ:	686029	781632

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 171240 ლარი;

2023 წლის ბოლოს - 212270 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	8177	6077
სულ:	8177	6077

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	1451946	1681740
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ		
სულ:	1451946	1681740

3.09. სესხზე დარიცხული პროცენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სესხზე დარიცხული პროცენტი	10482	10482
სულ:	10482	10482

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	104170	2987
სულ:	104170	2987

3.11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	47871	30634
სულ:	47871	30634

3.12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
„საქართველოს ბანკი“ სესხი (GEL)	750978	559892
„პროკრედიტბანკი“ სესხი (GEL)	411523	284252
ფიზიკური პირის სესხი (GEL)	0	0
სულ:	1162500	844144

3.13. საკუთარი კაპიტალ

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი		
მოგება/ზარალი	2913922	2785882
სულ:	2913922	2785882

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2022-2023 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2022-2023 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.14. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2022-2023 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.15. მიწოდების ხარჯები:

		2022 წელი	2023 წელი
7310	რეკლამის ხარჯები	12853	15693
7340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	19505	24703
7390	მიწოდების სხვა ხარჯები	435713	442061
	სულ:	468071	482457

3.16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

		2022 წელი	2023 წელი
7410	შრომის ანაზღაურება	654103	800914
7415	საპენსიო ხარჯები	10339	12421
7420	საიჯარო ქირა	290214	360547
7423	ელ. ენერგია, გაზი, წყალი, დასაწყობების ხარჯები	39174	45656
7426	საკანცელარიო ხარჯი	2313	2427
7435	დაზღვევის ხარჯები	0	7303
7430	კომუნიკაციის ხარჯები	7132	8079
7440	საწვავის ხარჯები	93926	63586
7450	საკონსულტაციო ხარჯები	354	120
7451	აუდიტორული ხარჯი	9000	9600
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	37070	47363
7465	სხვა საგადასახადო ხარჯი	12685	6485
7470	საბანკო ხარჯები	4647	4457
7475	მივლინების ხარჯები	0	6754
7485	წარმომადგენლობითი ხარჯები	103	5651
7490	სხვა საერთო ხარჯი	74439	68557
	სულ:	1237499	1449941

3.17. არასაოპერაციო შემოსავლები:

		2022 წელი	2023 წელი
8180	დადებითი საკლრსო სხვაობები	840	1356
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6832	1462
	სულ:	7672	2818

3.18. არასაოპერაციო ხარჯები:

		2022 წელი	2023 წელი
8210	საპროცენტო ხარჯები	149811	160103
8280	უარყოფითი საკურსო სხვაობები	2458	566
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	311	1008
	სულ:	152580	161677

3.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო აღდგილი არ ჰქონია.

3.19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:




ვ. ამირანაშვილი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	337652	208094	301563
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	724099	834836	312593
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	94767	29371	45539
მარაგები	3375022	3796094	3126734
მზა პროდუქცია	3375022	3796094	3126734
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	36621	65534	43028
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	6076	8177	10277
ძირითადი საშუალებები	781632	686029	902591
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	5355869	5628135	4742325
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1681740	1451946	1407764
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	2987	104170	32174
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	844144	1162500	751775
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	41116	58353	185847
სულ ვალდებულებები	2569987	2776969	2377560
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2769543	2834827	2348426
გადაფასების რეზერვი	16339	16339	16339
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2785882	2851166	2364765
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5355869	5628135	4742325
სულ მოკლევადიანი აქტივები	4568161	4996685	3892213
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

ვ. ამირანაშვილი



საქმიანობის შედეგები

აქტივობის შედეგები	31/12/2021	31/12/2022
გთვალვით ამონაგები	11422654	10949633
აქონლის გაყიდვიდან	11421192	10942801
ომსახურების გაწევიდან	0	0
ამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	1462	6832
დაყიდვების თვითღირებულება	-9070107	-8433802
ანგარიშის მარაგები	0	0
არაგების შესყიდვა	0	0
აღამუშავების დანახარჯები	0	0
აბოლოო მარაგები	0	0
აერთო მოგება	2352547	2515831
საოპერაციო შემოსავალი	790	0
ასაქმებულთა ანაზღაურება	-813335	-664442
ვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-47363	-37070
პროცენტო შემოსავალი	0	0
პროცენტო ხარჯი	-160103	-149811
ქარის ხარჯი	-360547	-290214
დმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	0	0
ელ საოპერაციო ხარჯები	-1380558	-1141537
ოპერაციო მოგება	971989	1374294
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
არაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო		
ხსრების გადაფასებიდან	0	0
აღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-712163	-715212
ოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	259826	659082
ოგების გადასახადის ხარჯი	-64584	-18727
ანგარიშგებო პერიოდის მოგება / (ზარალი)	195242	640355
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
არითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების		
გზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების		
აღაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
ოლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	195242	640355
კუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2851166	2364765
ალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის		
მთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
ანაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-260526	-153954
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
პიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2785882	2851166

ამირანაშვილი



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	-93469
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	0	-93469
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	208094	301563
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	0	208094

ვ. ამირანაშვილი

